https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.28

ჯავა ჭეიშვილის ნატურმორტები
STILL LIFES BY JAVA CHEISHVILI

შორენა ფხაკაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Shorena Pkhakadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Java Cheishvili's works are not only an original contribution to modern Georgian art but also a carefully crafted creative portrait of the artist depicted with paints on the canvas.

Java Cheishvili's works are distinguished by genre diversity, encompassing portraits, landscapes, still lifes, and religious themes that captured the artist's attention. Each genre is expressed with distinct power in his art.

At different times Java Cheishvili's works were exhibited in Tbilisi, Moscow, Paris, London, Newport, and Ingolstadt. The artist participated in All-Union plein airs (Terjola, 1979, 1983) as well as international plein airs for painters (Kutaisi, 1985, 1988, 1990, 1995) and contributed to the work of international symposiums for painters and sculptors in Kutaisi (2001, 2003). Personal exhibitions of Java Cheishvili were organized in Kutaisi in 1980 and 1993 (Art Gallery named after D. Kakabadze), and in Tbilisi in 1981 and 2000 (Gallery Re-aktsia).

Java Cheishvili's still lifes have been a topic of discussion on multiple occasions and the feedback about them has been consistently positive.

საკვანძო სიტყვები: ქართული ფერწერა, ჯავა ჭეიშვილის შემოქმედება, ნატურმორტი.
Keywords: Georgian painting, Java Cheishvili's creative works, still life.

ჯავა ჭეიშვილი 1940 წლის 3 სექტემბერს ჯავაში დაიბადა. ქუთაისის გიორგი მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლის დამთავრების შემდეგ (1958) მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის მოდელირების განყოფილებაზე სწავლობდა. 1961 წლიდან მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში. სხვადასხვა დროს მისი ნამუშევრები გამოიფინა თბილისში, მოსკოვში, პარიზში, ლონდონში, ნიუპორტსა და ინგოლშტადტში. მისი შემოქმედება მრავალფეროვანია ჟანრობრივადაც.

საინტერესოა ხელოვნებათმცოდნე ზურაბ თოდუას აზრი მის შემოქმედებასთან დაკავშირებით: „ნატურმორტებში, რომელთა ინვენტარი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნისაგან შედგება, მას აინტერესებს არა იმდენად საგნის ყოფითი, რამდენადაც მისი მხატვრული ფასეულობა. ცალკეულ ნატურმორტებში მხატვრის პლასტიკური აზროვნება ხაზს უსვამს საგნის იმანენტურ თვისებებს, სხვებში საგანი გვევლინება, როგორც თავისი გვარის კულტურული მეხსიერების მატარებელი. ოსტატი ყოველთვის ინარჩუნებს ფორმის სუბსტანციურ არსს, რომელიც აუცილებლად კონკრეტულია კონსტრუქციით, მოცულობით, ფაქტურით, არ განიცდის რაიმე დეფორმაციას ან შუქ-ჰაეროვანი გარემოს გავლენას და ფასეული რჩება თავის ხაზგასმულ საგნობრიობაში, პლასტიკურ სიმკვრივესა და დროის გარეშე არსებობაში. თითქოს ფერმწერისა და მოქანდაკის ხელი ერთდროულად ძერწავს ამ საგნებს, რომელთა განზოგადებულ-ლაკონურ ფორმებსა და ფაქტურის დამახასიათებლობაში სჩანს მათი ფუნდამენტალური იკონოლოგიის ნიშანდობლივი გამოვლინებები“ (თოდუა 2012: 77).

აღსანიშნავია ჯავა ჭეიშვილის მანერისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ფრესკული მოტივები მხატვრის შემოქმედებისა და მხატვრული შემეცნების ძირითად მხარეს წარმოადგენენ და ხშირ შემთხვევაში მხატვრის მოდერნისტული აზროვნების საფუძველს ქმნიან (ზაალიშვილი... 2010: 14).

განვიხილოთ ჯავა ჭეიშვილის რამდენიმე ნამუშევარი სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის მიხედვით. ნამუშევარი, რომელიც რამდენიმე თუნგს ასახავს, წარმოადგენს დაზგური ფერწერის ნიმუშს. სურათი ფორმატით ჰორიზონტალზე გაშლილი მართკუთხედია. შესრულებულია ზეთის საღებავებით ტილოზე. მასზე გამოსახულია რამდენიმე თუნგი, რომელიც მხატვრის კოლექციის საგანს წარმოადგენდა. ჟანრობრივად ნატურმორტია. გამოსახულება ნატურალიზებულია. კომპოზიციის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ მწვანე ფონი, რამდენიმე თუნგი, ქოთანი და დეკორატიული სუფრა, რომელზეც განლაგდებიან ნივთები. კომპოზიცია გაწონასწორებული და სტატიკურია. მხატვრის მიერ შერჩეული ხედვის წერტილი ფრონტალურია. სასურათო სიბრტყეზე განთავსებული ობიექტები საკმაოდ ახლოს არის მნახველთან განთავსებული. სურათზე საკმაოდ კარგად იკითხება ხაზობრივი საწყისი. მაყურებელი განყენებულია სურათის აღქმისას. შექმნილია ღრმა სივრცე. სივრცობრივი ილუზია გამოსახული ობიექტების ზომების განსხვავებით იქმნება. საგნების კონტურები ხაზგასმულია. მოცულობა მიიღწევა შუქ-ჩრდილის მეშვეობით. განათება თანაბარია. განათების წყარო არ იკითხება. შუქი მიმართულია მარჯვნიდან მარცხნივ. გამოსახული ფიგურებისა და ობიექტების სილუეტები მკაფიოდ იკითხება. გამოსახულება დეტალიზებულია. ზედაპირზე ფაქტურის ნაირსახეობა კარგად გადმოიცემა. კოლორიტი იქვემდებარებს ნახატს და თავად აგებს კომპოზიციას. სჭარბობს ლოკალური ფერები. ფერადოვანი ლაქების საზღვრები გარჩევადია. მხატვარი იყენებს პატარა, ლაქისებურ მონასმებს. ერთნაირი ინტენსივობით იყენებს თბილსა და ცივ ფერებს. ფერი ფორმის

გასაფერადებელ საშუალებად გვევლინება და სხვა დატვირთვა არ აქვს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფერი ოპტიკურად უტყუარია. შესაძლოა გამოიყოს მუქი ლურჯისა და მწვანის გამეორება. დომინანტ ფერად მწვანე გვევლინება. შედარებით განათებული და ჩაბნელებული ადგილები კონტრასტულად არ არის ნაჩვენები. ჩრდილები მუქად, მაგრამ გამჭვირვალედ არის დახატული. ცალკეული მონასმების გარჩევა შეუძლებელია. მხატვარს სურდა თავისი ნამუშევრის მეშვეობით გადმოეცა მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკოლექციო ნივთები, მათი ესთეტიკა, რაც მან მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით ძალიან რაფინირებულად შესძლო.

„ნატურმორტი ლიმონით", რომელიც 1988 წელს შესრულდა, დაზგური ფერწერის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. ფორმატით კვადრატია და ზეთის საღებავებით ტილოზე არის შესრულებული. ზომებიდან გამომდინარე (60X50), კარგად აღიქმება ახლო დისტანციიდან. მასზე გამოსახულია სამი სხვადასხვა სასმელისათვის განკუთვნილი ბოთლი, ლიმონი და სუფრა. ნატურმორტი დიდი ოსტატობითაა შესრულებული. გამოსახულება ნატურალისტურია, როგორც ზოგადად დამახასიათებელია ჯავა ჭეიშვილის ნატურმორტებისათვის. კომპოზიციის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ მუქი, ნეიტრალური ფონი, ბოთლები, ლიმონი, თეფში, სუფრა. კომპოზიცია გაწონასწორებულია და სტატიკური. მასში მოძრაობა არ იკითხება. ხედვის წერტილი კვლავაც ფრონტალურია. ობიექტები საკმაოდ ახლოს არის მოცემული. განსხვავებით ზემოთ განხილული ნატურმორტისაგან, აქ ხაზობრივი საწყისი არ იკითხება. მაყურებელი ჩართულია გამოსახულების აღქმისას. სივრცობრივი ფენა ჩაკეტილია. სივრცობრივი ილუზია იქმნება გამოსახული ფიგურების ზომების განსხვავებითა და ფერთა გრადაციით. საგნების კონტურები ხაზგასმულია. მოცულობა, რა თქმა უნდა, შუქ-ჩრდილის მეშვეობით გადმოიცემა. განათება ნეიტრალურ ხასიათს ატარებს. განათების წყარო კვლავ არ იკითხება, მაგრამ მკაფიოდ იკითხება შუქის მიმართულება: მარჯვნიდან მარცხნივ. გამოსახული ფიგურებისა და ობიექტების სილუეტები გამომსახველი და ფასეულია. გამოსახულება ზედმიწევნით დეტალიზებულია. კარგად გადმოიცემა ფაქტურის ნაირსახეობა. კოლორიტი ექვემდებარება ნახატს და მოცულობას. ჭარბობს ლოკალური ფერები. ფერადოვანი ლაქების საზღვრები ემთხვევა მოცულობებისა და საგნების საზღვრებს. მხატვარი, ტრადიციულად, პატარა, მოკლე, ლაქი-სებურ მონასმებს იყენებს. ნამუშევარში ჭარბობს ნეიტრალური ფერები. ფერი ექსპრესიულია. ძალიან დახვეწილად გადმოსცემს მხატვარი მინის ზედაპირის თავისებურებას. არ გამოიყოფა რომელიმე ფერის რიტმული განმეორება ან ელფერთა შეხამება. ვერც რომელიმე ფერის განვითარებას გავადევნებთ თვალს. დომინანტ ფერად ყვითელი გვევლინება: ბოთლის ეტიკეტი, ლიმონი, სუფრა. შედარებით განათებული და ჩაბნელებული ადგილები კონტრასტულად არის შესრულებული. ჩრდილები მუქად არის დახატული. ზედაპირის ფერწერული ფაქტურა გლუვია. ცალკეული მონასმების გარჩევა შეუძლებელია.

მესამე ნატურმორტი, რომელსაც წინამდებარე სტატიის ფარგლებში განვიხილავთ, კიდევ უფრო დატვირთულია. დაზგური ფერწერის ეს ნიმუში წარმოადგენს ჰორიზონტალზე გაშლილ მართკუთხედს. შესრულებულია ზეთის საღებავებით ტილოზე. კარგად აღიქმება საშუალო დისტანციიდან.

ნამუშევარზე ასახულია ღვინის ტიკი და გრაფინი, რომლებიც დეკორატიულ სადგამზეა მოთავსებული. ფონად ბაგრატის ტაძარია მოცემული. ქვემოთ ვხედავთ წარწერას „ეძღვნება მეგობართა ხსოვნას". პერსონაჟები და საგნები დეკორატიულ გარემოშია მოცემული. გამოსახულება პირობითია და ექსპრესიული უტრირებისაკენ იხრება. კომპოზიციის შემადგენელი ნაწილები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ფონი, სადაც მზესაც ვხედავთ, გრაფინი, ტიკი, მტრედი, დეკორატიული ხე და წარწერა. კომპოზიცია არ არის გაწონასწორებული და ასევე არ შეინიშნება მოძრაობა.

ნამუშევარი უკეთ აღიქმება საშუალო დისტანციიდან. სასურათო სიბრტყეზე მოცემული ობიექტები მნახველთან ახლოს არის განთავსებული. ხაზობრივი საწყისი ნაკლებად იკითხება. მაყურებელი ჩართულია სურათზე გამოსახულების აღქმისას. შექმნილია საკმაოდ ღრმა სივრცე. სივრცობრივი ილუზია გამოსახული ფიგურების ზომების განსხვავების ხარჯზე იქმნება. საგნების კონტურები ხაზგასმულია. განათება თანაბარია. განათების წყარო და შუქის მიმართულება არ იკითხება. გამოსახული ფიგურებისა და ობიექტების სილუეტები მკვეთრად გამომსახველია. გამოსახულება განზოგადებული ხასიათისაა. ზედაპირზე ფაქტურის ნაირსახეობა არ გადმოიცემა.

კოლორიტი ექვემდებარება ნახატსა და მოცულობას. ჭარბობს ლოკალური ფერები. ფერადოვანი ლაქების საზღვრები მკაფიოდ გარჩევადია. მხატვარი იყენებს როგორც სქელ, მსუყე, ასევე პატარა, ლაქისებურ მონასმებს. უპირატესობას ანიჭებს ცივ ფერებს. ფერი, რომელიც ოპტიკურად უტყუარია, ფორმების გასაფერადებელ საშუალებად გვევლინება და მას სხვა დატვირთვა არ აქვს. ვერ ვხედავთ რომელიმე ფერის განვითარებას ან დომინანტ ფერს. ნამუშევრის ზედაპირის ფერწერული ფაქტურა გლუვია.

ჯავა ჭეიშვილის შემოქმედება მრავალფეროვანია ჟანრობრივად. მის ნამუშევრებში კარგად იკითხება დახვეწილი ოსტატობა, ხაზისა და ფერის ბრწყინვალე ფლობა და მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი. კიდევ ბევრი ნამუშევარი ელოდება ხელოვნებათმცოდნეების შეფასებას, რაც სამომავლოდ აუცილებლად იქცევა კვლევის საგნად.

გამოყენებული ლიტერატურა

ზაალიშვილი... 2010: ზაალიშვილი ნ., ქურციკიძე მ., თოდუა ზ., **ამაღლობელი 2010: ამაღლობელი მ., ჯავა ჭეიშვილი: ფერწერა, გრაფიკა, თეატრი, კოლაჟი. ქუთაისი, 2010.**

თოდუა 2012: თოდუა ზ., აზრისა და გრძნობის მონუმენტური სინკრეტიზმი. სახვითი ხელოვნების ქრონიკები 2010. ქუთაისი, 2012.